შპს „ინსტალი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. თბილისი
2023 წ.

სარჩევი

	ფინანსური მდგომარეობის ანგაარიშგება	3
	მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
	საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	7
	ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1	ზოგადი ინფორმაცია	8
2	წარდგენის საფუძვლები	8
3	ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა	9
4	ფული და ფულის ექვივალენტები	15
5	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
6	ავანსები და სესხები	15
7	მარაგები	15
8	სხვა მოკლევადიანი აქტივები	16
9	არამატერიალური აქტივები	16
10	ძირითადი საშუალებები	16
11	ინვესტიციები სხვა საწარმოში	17
12	სხვა გრძელვადიანი აქტივები	17
13	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
14	სასესხო ვალდებულებები	17
15	საკუთარი კაპიტალი	17
16	ამონაგები	18
17	გაყიდვების თვითღირებულება	18
18	ზოგადი და ადმინისტაციული ხარჯები	18
19	საპროცენტო ხარჯი	18
20	კონვერტაცია და გადაფასება	19
21	სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	19
22	მოგების გადასახადი	19
23	საანგაარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	19

შპს ,,ინსტალი“

ფინასური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	შენ	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	6069	722266	34028
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	503366	519455	201498
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	6	547969	256298	42286
მარაგები		**1795183**	**1027290**	**819525**
მზა პროდუქცია				
სხვა	7	1795183	1027290	819525
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	8	166632	301284	231335
ბიოლოგიური აქტივები		**0**	**0**	**0**
თვითღირებულების მოდელით				
გადათვასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	9	1186	1186	
ძირითადი საშუალებები	10	1123835	101320	62474
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	11	6750	4750	4750
სხვა გრძელვადიანი აქტივები	12		95800	
სულ აქტივები		**4150992**	**3029649**	**1395895**
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება	13		6725	
სავაჭრო ვალდებულებები	13	3636400	2673661	1130853
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ				
საგადასახადო ვალდებულებები	13	52859	218173	228556
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები				
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	14	300000	199459	226825
მიღებული გრანტები				
სხვა ვალდებულებები	13	306036	137831	118064
სულ ვალდებულებები		**4295295**	**3235849**	**1704299**
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	15			
საემისიო შემოსავალი				

გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-144305	-206200	-308403
გადათვასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი		**-144305**	**-206200**	**-308403**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		**4150990**	**3029649**	**1395896**
სულ მოკლევადიანი აქტივები		3019220	2826593	1328671
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3995297	3036390	1477473

დირექტორი: ზურაბ ძირკვაძე

თარიღი: 29-09-2023 წ

შპს ,,ინსტალი“

მოგება-ზარალისა და სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქმიანობის შედეგები	შენ	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
ნეტო ამონაგები		**7363744**	**5023732**
საქონლის გაყიდვიდან	16	1205597	273319
მომსახურების გაწევიდან	16	6158147	4750413
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
გაყიდვების თვითღირებულება	17	-3907459	-2352343
საწყისი მარაგები			
მარაგების შესყიდვა			
გადამუშავების დანახარჯები			
საბოლოო მარაგები			
საერთო მოგება		**3456285**	**2671389**
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	18	-675208	-408443
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	18	-15180	-12096
საპროცენტო შემოსავალი	19	2102	6859
საპროცენტო ხარჯი	19	-104848	-39660
იჯარის ხარჯი	18	-57362	-106149
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	18	-2617241	-2006713
სულ საოპერაციო ხარჯები		**-3467737**	**-2566202**
საოპერაციო მოგება		**-11452**	**105187**
გაუფასურების (ხარჯი)/ აღდგენა:			
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	20	-2199	201
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	21	75546	15344
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		**61895**	**120732**
მოგების გადასახადის ხარჯი	22		-18529
საანგარიშო პერიოდის მოგება / (ზარალი)		**61895**	**102203**

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):

ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადათვასების რეზერვი			
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადათვასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		**0**	**0**
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)		**61895**	**102203**
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-206200	-308403
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა' , კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		**-144305**	**-206200**

დირექტორი: ზურაბ ძირკვაძე

თარიღი: 29-09-2023 წ

შპს ,,მუხიანი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დასახელება	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2021 წ	**0**	**-308403**	**-308403**
საანგარიშგებო წინა წლის მოგება/ზარალი		102203	102203
საანგარიშგებო წინა წელს განაწილებული დივიდენდი		0	0
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
ნაშთი 31 დეკემბერი 2021 წ	**0**	**-206200**	**-206200**
საანგარიშგებო წლის მოგება/ზარალი		61895	61895
საანგარიშგებო წინა წელს განაწილებული დივიდენდი		0	0
სხვა ცვლილება გაუნაწილებელ მოგებაში		0	0
ნაშთი 31 დეკემბერი 2022 წ	**0**	**-144305**	**-144305**

დირექტორი: ზურაბ ძირკვაძე

INSTAL

404436570 GEORGIA "INSTAL" LTD

თარიღი: 29-09-2023 წ

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ინსტალი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 2013 წლის 31 იანვარს, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოში და მიენიჭა საიდენტიფიკაციო კოდი: **404436570**

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი 2013 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 23 მაისამდე იყო **ზურაბ ძირკვაძე (პ/ნ 61003000617**), ხოლო 2022 წლის 23 მაისიდან 2022 წლის 10 ივნისამდე კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელი გახდა **ვახტანგ სახოკია (პ/ნ 01024017915)**. 2022 წლის 10 ივნისს კომპანიაში **ვახტანგ სახოკიას (პ/ნ 01024017915)** წილი გახდა 70%, ხოლო კომპანიის წილის 30%-ის მფლობელი გახდა **ანანო შანიძე (პ/ნ 61001068704).** 2023 წლის 22 მაისს კომპანიის 100%_იანი წილის მფლობელი ისევ გახდა **ვახტანგ სახოკია (პ/ნ 01024017915),** ხოლო 2023 წლის 23 ივნისს კომპანიის 100%_იან წილს უკვე ფლობს **ზურაბ ძირკვაძე (პ/ნ 61003000617**).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

> გათბობის და ჰაერის კონდენცირების სისტემების მონტაჟი და მშენებლობა
>
> კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, მ. კოსტავას I შესახვევი #11ა. ბინა #25

კომპანიის დირექტორი 2013 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 19 მაისამდე იყო **ზურაბ ძირკვაძე (პ/ნ 61003000617**), 2022 წლის 19 მაისიდან 2023 წლის 23 ივნისამდე დირექტორია **გიორგი გორგილაძე (პ/ნ 61001067583),** ხოლო 2023 წლის 23 ივნისიდან კომპანიის დირექტორია **ზურაბ ძირკვაძე (პ/ნ 61003000617**)

2. წარდგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდეგენილი ფინანსური ანგარიშგება არ არის მომზადებული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში ,,მსს ფასს“) შესაბამისად, რადგანაც ანგარიშგებას აკლია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება, სხვა კომპონენტებში ფინანსური ანგარიშგების მომზადებულია ,,მსს ფასს“ სტანდარტების შესაბამისად. მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა ,,მსს ფასს“, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით. თითოეული კატეგორიის აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების დეტალები განხილულია ქვემოთ მოცემულ შენიშვნებში. წლიური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით. რაც გულისხმობს იმას, რომ კომპანია საქმიანობას განაგრძობს პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტს და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ ბიზნეს საქმიანობა საქართველოში.

2.3 შეფასებების და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ,,მსს ფასს“ შესაბამისად მომზადებისათვის, ხელმძღვანელობამ გააკეთა კრიტიკული შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე. კომპანიის საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც შეადგენდა:

დასახელება	31დეკემბერი 2021 წელი	31 დეკემბერი 2021 წელი
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3,5040

2021 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 3.0976 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.5040 ლარს; 2022 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.7020 ლარი, ერთი ევრო 2.8844 ლარი. არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით), გარდა რეალური ღირებულებით წარდგენილი არაფულადი მუხლებისა, რომლებიც ლარში გადაყვანილია მათი რეალური ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით. საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე, ფულს საბანკო ანგარიშზე, და ფულს გზაში. ფულის და ფულის ექვივალენტების ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. ფული და ფულის ექვივალენტები ფინასურ ანგარიშგებაში მოცემულია ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში არსებული ფული გადაანგარიშებულია საანგარიშო წლის ბოლო თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოური ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მიმდინარე სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი წარმოიშვება, როდესაც არსებობს

ობიექტური მოსაზრება, რომ კომპანია ვერ მოახერხებს მოთხოვნების მიღებას საწყისი პირობების მიხედვით. დებიტორის მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემები, მისი გაკოტრება ან მისი მხრიდან გადახდების პრაქტიკის მნიშვნელოვანი გაუარესება არის მნიშვნელოვანი ინდიკატორი იმისა, რომ მოთხოვნა გაუფასურებულია. გაუფასურების ოდენობა განისაზღვრება აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობით. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილება აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საეჭვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა ის მოთხოვნა, რომლის თანხის ამოღებაც მოსალოდნელი არ არის, პირდაპირ მოგება-ზარალში ჩამოიწერება ხარჯად.

3.5 გაცემული ავანსები და სესხები.

ავანსები და სესხები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდელებით ან მის გარეშე, რომლებიც არ არიან კოტირებული აქტიურ ბაზარზე და მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

3.6 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასააყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შეძენილ ლიცენზიებს (მათ შორის შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, რომლებიც აისახება დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივის სასარგებლო
გამოყენების ვადები შემდეგია:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა	2-10 წელი
სხვა საოპერაციო ლიცენზიები	3-10 წელი.

თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა უნდა განისაზღვროს ხელმძღვანელობის საუკეთესო შეფასების საფუძველზე, მაგრამ ეს ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. თუ ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდეგ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ამორტიზაცია შესაბამისად გადაიხედება და შესწორდება პერსპექტიულად.

3.8 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის მონტაჟთან, დემონტაჟთან, ტრანსპორტირებასთან და ექსპლუტაციაში გაშვებასთან დაკავშირებულ სხვა პირდაპირ დანახარებთან.

ძირითადი საშუალებები ფინასურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გიანგარიშება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის გამოკლებით..

ძირითადი საშუალებების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი სარგებლიანობის პერიოდის გათვალისწინებით.

ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-7 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტომობილები	10 წელი
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მოსახურების ვადას შორის უმცირესი.

ძირითად საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალში, როდესაც მოხდა აღიარების შეწყვეტა.

3.9 იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან , თუ მასზე ნაკლებია , მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ყველა იჯარა აღიარებულია როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადაზღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც გაწეული ხარჯი.

3.10 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3.11 სასესხო ვალდებულებები

სასესხო ვალდებულებების პირველადი აღიარება ხდება სესხის გამოშვებასთან დაკავშირებული გარიგების დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებით. სხვაობა წარმოშობილი მის რეალურ ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აისახება პერიოდის მოგება-ზარალში. სესხთან დაკავშირებული პროცენტი და სხვა დანახარჯები აღიარდება ფინანსურ ხარჯად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს დანახარჯები პირდაპირ მიეკუთვნება განსაკუთრებული აქტივის შეძენას, შექმნას ან წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს დანახარჯები კაპიტალიზირდება განსაკუთრებული აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

3.12 გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

3.13 საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით. აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

3.14 ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები. ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის (გაწეული მომსახურების) უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით. ამოინაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

• კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი (მომსახურება) და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
• კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
• ამონაგები საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
• როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული ამონაგები შემოვა კომპანიაში და ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ,,დროის პროპორციულობის'' საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3.15 ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყონებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3.16 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.
არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

3.17 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები , სადაზღვევო ორგანიზაციები , საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი, ე .წ . "ესტონური", მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების

განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული. კომპანია არ აღიარებს გადავადებულ აქტივებს და ვალდებულებებს.

3.18 დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა მიღებული დღგ -ს ჩათვლის გათვალისწინებით. შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) საგადასახადო ვალდებულებად (მიღებული დღგ -ს ჩათვლების გათვალისწინებით).

3.19 დივიდენდის განაწილება

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა (პარტნიორთა კრების გადაწყვეტილების საფუძველზე). საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება ანგარიშგების შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნებში.

3.20 ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინასური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინასური პოზიციის შესახებ, აისახება ფინასურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინასურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინასური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	5926	9739	33905
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	143	712527	123
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**6069**	**722266**	**34028**

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	503366	383521	201498
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ		135934	
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**503366**	**519455**	**201498**

6. ავანსები და სესხები

კომპანიის ავანსები 2022 წელს წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
მოთხ.პარტნიორებზე გაცემული სესხიდან	5000	65000	0
მოთხოვნები ორგანიზაციებზე გაცემული სესხებიდან	28000	28000	28000
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	514969	163298	14286
სულ	**547969**	**256298**	**42286**

7. მარაგები

კომპანიის მარაგების 2022 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
ნედლეული და მასალები	1793090	1025959	819525
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	2093	1331	
სულ	**1795183**	**1027290**	**819525**

8. სხვა მოკლევადიანი აქტივები

სხვა მოკლევადიანი აქტივები 2022 წლისთვის გამოიყურება შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები			192063
მისაღები პროცენტები	19915	17813	10955
გადასახდელი დღგ-ს ტრანზიტული ანგარიში	146717	283471	28318
სულ	**166632**	**301284**	**231335**

9. არამატერიალური აქტივები

კომპანიას 2022 წლისთვის გააჩნია არამატერიალური აქტივი, ბუღალტრული პროგრამა FINA-ს სახით:

დასახელება	ლიცენზიები	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2021 წ	**0**	**0**
შემოსვლა	1186	**1186**
გასვლა		**0**
ცვეთა		**0**
ნაშთი 31 დეკემბერი 2021 წ	**1186**	**1186**
შემოსვლა		**0**
გასვლა		**0**
ცვეთა		**0**
ნაშთი 31 დეკემბერი 2022 წ	**1186**	**1186**

10. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2022 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	მიწა	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ნაშთი 01 იანვარი 2021 წ	**0**	**20391**	**6614**	**0**	**35470**	**62474**
შემოსვლა	40000	3002	5652	2288		**50942**
გასვლა						**0**
ცვეთა		5531	2334	195	4036	**12096**
ნაშთი 31 დეკემბერი 2021 წ	**40000**	**17862**	**9932**	**2093**	**31434**	**101320**
შემოსვლა	1000000		380	1186	34815	**1036381**
გასვლა		169				**169**
ცვეთა		4053	2584	432	6628	**13697**
ნაშთი 31 დეკემბერი 2022 წ	**1040000**	**13640**	**7728**	**2847**	**59621**	**1123835**

11. ინვესტიციები სხვა საწარმოში

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	6750	4750	4750
სულ	**6750**	**4750**	**4750**

12. სხვა გრძელვადიანი აქტივები

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		95800	
სულ	**0**	**95800**	**0**

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები 2022 წლის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
საიჯარო ვალდებულებები		6725	
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	1902787	832078	942254
მიღებული ავანსები	1733613	1848308	188599
საგადასახადო ვალდებულებები	52859	199459	226825
სხვა ვალდებულებები	306039	137831	118064
სულ	**3995298**	**3024401**	**1475742**

14. სასესხო ვალდებულებები

კომპანიის სასესხო ვალდებულებები 2022 წელს გამოიყურებოდა შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.	31.12.2020 წ.
გრძელვადიანი სესხები	300000	199459	226825
სულ	**300000**	**199459**	**226825**

15. საკუთარი კაპიტალი

(ა) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს ნულ ლარს.

(ბ) დივიდენდები

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით გასანაწილებელი მოგების ოდენობა შეზღუდულია გაუნაწილებელი მოგების თანხით, რომელიც დაფიქსირებულია კომპანიის ფინანსურ ანგარიშებში, რომლებიც შედგენილია მსს ფასს-ის მიხედვით. 2022 წელს კომპანიის მიერ არ მომხდარა დივიდენდების გამოცხადება და შესაბამისად მისი განაწილება.

16. ამონაგები

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
შემოსავალი	7363744	5025313
გაყიდული საქ. დაბრუნება და ფასდათმობა	0	-1581
სულ	**7363744**	**5023732**

17. გაყიდვების თვითღირებულება

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
საწყისი მარაგები	1027290	819525
შესყიდვები	4675352	2560108
საბოლოო მარაგები	1795183	1027290
სულ თვითღირებულება	**3907459**	**2352343**

18. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
ცვეთა და ამორტიზაცია	-15180	-12096
შრომის ანაზღაურება	-675208	-408443
საიჯარო ქირა	-57362	-106149
სხვა საერთო ხარჯი	-2617241	-2006713
სულ	**-3364990**	**-2533401**

19. საპროცენტო ხარჯი

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
საპროცენტო შემოსავლები	2102	6858.63
საპროცენტო ხარჯები	-104848	-39660
სულ	**-102746**	**-32802**

20. კონვერტაცია და გადაფასება

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
არასაოპერაციო მოგება (გადაფასება)	32	688
არასაოპერაციო ზარალი (გადაფასება)	-2025	-198
საკურსო სხვაობის ხარჯი (კონვერტაცია)	-207	-289
სულ	**-2199**	**201**

21. სხვა არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
დამრგვალების შემოსავალი	4	7
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	17717	30042
დამრგვალების ხარჯი		-4
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-2219	-16843
განსაკუთრებული შემოსავლები	60044	2237
განსაკუთრებული ხარჯები		-93
სულ	**75546**	**15344**

22. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვება არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს. კომპანიას საანგარიშო პერიოდში მოგება არ გაუნაწილებია შესაბამისად არ მომხდარა მოგების გადასახადის დარიცხვა.

დასახელება	31.12.2022 წ.	31.12.2021 წ.
განაწილებულ მოგებაზე გადასახდელი მოგების გადასახადი		18529
სულ	**0**	**18529**

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენები, რომლებიც გავლენას იქონიბდნენ ფინანსურ ანგარიშგებაზე.